**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მარინე ბერაძის ანგარიში, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის შესახებ,**

**ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის**

**ოქმი**

**შეხვედრის ჩატარების თარიღი: 17 ნოემბერი 2023 წელი.**

**შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - მერიის სხდომათა დარბაზი.**

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ზაალ მამალაძე;

სამანდტო, საპროცედურა საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - მარინე ბერაძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე - ქეთევან სიხარულიძე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარულიძე;

საკრებულოს წევრი - მანანა მინდაძე;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

მერიის წარმომადგენლები;

ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ წარმომადგენლები;

სხვადასხვა სოფლის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები;

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამასა და კონკურსში მონაწილე ქალები;

მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრები, ახალგაზრდები;

მოქალაქეები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა, სამანდტო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - მარინე ბერაძემ ამომრჩვლებს წარუდგინა 2022 წლის ნოემბრიდან დღეის

მდგომარეობით დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და სიტყვით მიმართა დამსწრეთ:

მოგესალმებით,

წარმოგიდგენთ ჩემი, როგორც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წლიურ ანგარიშს , გასული წლის 01 ნოემბრიდან დღემდე.

ვარ საკრებულოს წევრი, არჩეული პარტიული სიით, ასევე ვარ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს 12 სხდომიდან დავესწარი 11 სხდომას,ხოლო კომისიის 11 სხდომიდან დავესწარი ყველა (11) სხდომას. სულ ჩატარებული ფრაქცია „ქართული იცნება-დემოკრატიული საქართველოს 11 სხდომა, საიდანაც 10 სხდომას დავესწარი.

ჩემს მიერ დღეს წარმოდგენილი ანგარიში იქნება ჩემი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა, რაც შეეხება ოფიციალურ ანგარიშს, უკვე განთავსებულია მუნიციპალიტეტის ახალ ვებ. გვერდზე chokhataui.gov.ge.

ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომელზე მუშაობაც მომიხდა და რაშიც ჩართული ვიყავი როგორც საკრებულოს წევრი საანგარიშო პერიოდში.

ჩემი საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით არის განსაკუთრებით აქტიური, პირველი და მთავარი ეს არის ჩემი როგორც საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, და მიხარია რომ ამ პერიოდში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითის განხილვა და ინიციირება მოხდა საკრებულოს სხდომებზე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიიდან ჩემი ხელმძღვანელობით, ორს განსაკუთრებით გამოვყოფ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დასახლებების ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების თაობაზე. ინიციატივის მომზადება და წარდგენა განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დამისამართების დეპარტამეტთან აქტიური თანამშრომლობით, მიღებული იქნა განკარგულება საკრებულოს მიერ და დღეს უკვე მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეული სრულად დამისამართებულია არაბული ციფრებით, რაც ძალიან ამარტივებს სოფლებში ქუჩების, როგორც გეოგრაფიული ობიექტების სახელდებების ფაქტორს. არ განახლებულა მხოლოდ დაბა ჩოხატაურისა და დაბა ბახმაროს დამისამართებები, მიმდინარეობს მუშაობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის „გმირების მწვერვალის“ სახელის მინიჭების შესახებ.

ეს საკითხიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, განცხადებით მომართა საკრებულოს რამდენიმე

ვეტერანმა, ამ განცხადების საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარემ მოამზადა კონკრეტული ინიციატივა და მწვერვალს მიენიჭა „გმირების მწვერვალის“ სახელი, წელს 19 აგვისტოს, ბახმაროს ტრადიციული დღესასწაულის დღეს, მწვერვალზე განთავსდა შესაბამისი წარწერით აბრა და ამისი ამსახველი ფოტო მასალაც დაიდო სოციალურ ქსელში.

მნიშვნელოვანია ჩემი ჩართულობა საკრებულოს კვარტალური გეგმების შემუშავების ეტაპზეც და ამ მიმართულებით რაიმე დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში არაერთი შეხვედრა მქონდა მოქალაქეებთან, როგორც ინდივიდუალური, ასევე საჯარო შეხვედრა. ამ შეხვედრების დროს ფაქტობრივად როგორც საკრებულოს წევრს მაქვს შესაძლებლობა გამოვიკვლიო მათი საჭიროებები, პრობლემები და შემდეგ შესაბამისი ქმედებებით, ეს იქნება შუამდგომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ რგოლთან, სახელმწიფო სტრუქტურასთან, თუ ეს იქნება პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზა სრულად ჩავერთო. მათ მიერ მოწოდებული ყველა ინფორმაცია და ინიციატივა ჩემთვის მნიშვნელოვანია და ჩემი მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე ვახერხებ მათ გათვალისწინებას, რა თქმა უნდა მეტ-ნაკლები წარმატებით. სხვადასხვა შეხვედრების დროს წამოჭრილი პრობლემები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

1. ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტა.
2. სოციალური პროგრამებით სარგებლობა
3. ძალადობის მსხვერპლთა პრობლემები
4. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების პრობლემები
5. შშმ პირთა(ზრდასრული) პრობლემები
6. შშმ პირთა დედების პრობლემები
6. დიდთოვლობა, გზების გაწმენდა
7. გარე განათების მოწყობა.

ჩემთვის მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობა, მონაწილეობას ვიღებ ფრაქციულ მუშაობაში, ფრაქციის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები ჩემს მიერ მხარდაჭერილია და ჩართული ვარ მათი განხილვის ყველა ეტაპზე.

ჩემი როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირის აქტიურობა ასევე გამოიხატება, იმაში რომ ვარ „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ ქალთა ორგანიზაციის წევრი, ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი და ვარ ჩართული პარტიულ საქმიანობაში, რომელიც ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდაა მიმართული.

ყველა ჩვენგანს, საკრებულოს წევრებს ვგულისხმობ, გვაქვს კონკრეტული მიმართულებები, სადაც კომპეტენტურები ვართ და გვაქვს მომეტებული ინტერესები საკითხების სენსიტიურობიდან და

მნიშვნელობიდან გამომდინარე. ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ქალთა გაძლიერება ადგილობრივ დონეზე, გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელება მუნიციპალიტეტში და ინკლუზიური მუნიციპალური პროექტების და პროგრამების განხორციელება -დანერგვა.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში მონაწილეობას ვიღებ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საქმიანობაში, მათ შორის: ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარე, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის შემუშავების ჯგუფის წევრი, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის" და "სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ მინდობით აღზრდიდან სრულწლოვანობის გამო ამორიცხული 24 წლამდე პირების ფინანსური დახმარების " პროგრამებით გათვალისწინებული თანხის ეფექტურად და მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი, მონაწილეობას ვიღებ სხდომებში და განცხადებების განხილვაში, შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავებაში.

მაქვს ხშირი კომუნიციკაცია და ვთანამშრომლობ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭოსთან. ვარ ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) წევრი, ახალგაზრდული იდეების საკონკურო ჯგუფის წევრი.

რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შევეხები:

1. გენდერული თანასწორობის საბჭომ მხარი დაუჭირა ჩემი მიერ წარდგენილ ინიციატივებს და უკვე საბჭოს სახელით თითოეული ინიციატივა, როგორც საბიუჯეტო ინიციატივა წარედგინა აღმასრულებელ ორგანოს, ეს ინიციატივები დაფინანსდა 2023 წლის ბიუჯეტში და ახლა მიმდინარეობს მუშაობა 2024 წლის ბიუჯეტში ასევე მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებასა და განხორციელებისთვის.

2. წარდგენილი ინიციატივები ა) შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის შემუშავებისა და ცალკე კოდით შეტანის თაობაზე ბ) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების ფინანსური დახმარების შესახებ გ) ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამის ცალკე ქვეპროგრამად ჩამოყალიბებისა და მასში შემავალი პროგრამებისთვის კოდების მინიჭების შესახებ, სრულად აისახა 2023 წლის ბიუჯეტში და დაფინანსდა, მათ შორი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მუხლში დაფინანსება 20 000 ლარიდან გაიზარდა 30 000 ლარამდე. ხოლო ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამა დარჩა სოციალური პროგრამებში და წინა წელს მისი ბიუჯეტი განისაზღვრა 10 000 ლარით.

წარმატებით მიმდინარეობს ყველა ზემოთ აღნიშნული პროგრამა.

3. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციასთან ჩემი უშუალო კომუნიკაციით და თანამშრომლობით შემუშავდა ინიციატივა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი შეუერთდეს ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებულ ევროპულ ქარტიას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ.

   მერის მხრიდან სრული მხარდაჭერა გამოცხადდა ინიციატივაზე, მერმა წარმოადგინა ეს ინიციატივა, რომელიც  განხილული იქნა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაზე, შემუშავდა განკარგულების პროექტი და მომზადდა შესაბამისი დასკვნა. 2023 წლი 9 ოქტომბრიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი შეუერთდა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებულ ევროპულ ქარტიას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ.

4. ჩემი უშუალო ინიციატივით გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, 2023 წლის 20 ივლისს ჩავატარეთ ქალთა ფორუმი „ქალები ცვლიან...“, ფორუმთან ერთად მოეწყო ადგილობრივ შემოქმედ ქალთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ასევე სკოლის მოსწავლეთა პროექტების პრეზენტაციები (USAID-ის  და ევროკავშირის მიერ დაფინასებული)ფორუმს ადგილობრივ მაცხოვრებელ ქალებთან ერთად ესწრებოდნენ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრი, ასევე მოწვეული სტუმრები სამხარეო ადმინისტრაციიდან და მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან.

5. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ასევე ღონისძიება შშმ პირთა დედებისთვის, სადაც კონკრეტულად მათთვის მომზადდა კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა და გადაეცათ ფასიანი საჩუქრები მოხდა მათი სამიზნე ჯგუფისთვის მუნიციპალური პროგრამის პრეზენტაცია.

6. ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსი ჩატარდა მუნიციპალიტეტის მიერ , რამდენიმე დღის წინ დასრულდა ეს კონკურსი და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული გამოვავლინეთ. ხმათა უმრავლესობით გამარჯვებული გახდა გასართობ - შემეცნებითი პროექტის „დანდულენდი“ ავტორი რუსუდან კობიძე, რომელიც მუნიციპალიტეტიდან დაფინანსდება 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

ცალკე მინდა გამოვყო ჩემი თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

1. აქტიურად ვიყავი ჩართული USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამასა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმებულ 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. მონაწილეობას ვღებულობ USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილ ტრენინგ პროგრამებში, კვლევებში - „მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება“ და „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“, რომლებიც ხორცილდება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ.
2. მონაწილეობა მივიღე USAID მედია პროგრამაში , NDI Georgia-სთან თანამშრომლობით, NDI-ს პარტნიორ საკრებულოს წევრ ქალების ტრენინგში
3. ვარ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის NDI-ის ერთწლიანი პროგრამის სერთიფიცირებული მონაწილე "ლიდერი ქალები ცვლილებებისთვის"

   გარდა ამისა ეროვნულ - დემოკრატიული ინსტიტუტმა (NDI) მადლობა გადაუხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს NDI-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაში აქტიური თანამშრომლობისთვის, მიხარია რომ ჩემი წვლილიც არის ამ საქმიანობაში.
4. ვთანამშრომლობ ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციასთან და ჩართული ვარ მათ სასწავლო კურსებში და ტრენინგებში.
5. ასევე ვთანამშრომლობ ფონდ სოხუმთან, შშმ ქალთა ეროვნულ ცენტრთან, ადგილობრივ ორგანიზაციებთან ქალები ქალებისთვის, ზრდასრულთა განათლების ცენტრი, ადგილობრივი ქალთა საინიციატივო ჯგუფები.

- მნიშვნელოვანი იყო გაზაფხულზე ასვე ჩემი ინიციატივით დაგეგმილი და გენდერული თანასწორობის საბჭოს, მერიისა და საკრებულოს მიერ მხარდაჭერით განხორცილებული საქველმოქმედო აქცია „თაობები ერთმანეთისთვის“ , რომელშიც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოც ჩაერთო და 20-მდე მარტოხელა მოხუცს დავეხმარეთ.

  გამოვყავი რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება და შეხვედრა, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი მაქვს ჩემს წერილობით ანგარიშში.

შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები ასეთია:

- **გავაგრძელებ მოქალაქეებთან შეხვედრებს, მათი საჭიროებების გამოსავლენად შევიმუშავებ კონკრეტულ სამუშაო გეგმას.**

- გაგრძელდება სოფლებში ქალთა საინიციატივო ჯგუფების შექმნას გენდერული თანასწორობის საბჭოს მხარდაჭერით.
- მაქსიმალურად ყველა ღონისძიებაში მივიღებ მონაწილეობას, რაც ემსახურება მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებას.
- **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში ვფიქრობ გავაძლიერო ჩემი როგორც საკრებულოს წევრის და როგორც კომისიის თავმჯდომარის საკრებულოების საზედამხედველო ფუნქციები მიღებული რეგლამენტის შესაბამისად.**
- გავაგრძელებ აქტიურ და მჭიდრო თანამშრომლობას საჯარო, კერძო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.
- აქტიურად ვიქნები ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, მიმდინარე საბიუჯეტო პროცესებში და მექნება კარგი კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.
- **2024 წელს დავსრულებთ პროექტს სოფელ ბუკნარში თანასწორობის ცენტრის გახსნა, დარჩენილია მოსაგვარებლად მცირე ტექნიკური ნაწილი.**
- **ადგილობრივ ქალთა გაძლიერების მიმართულებით გავაგრძელებ მუშაობას, როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.**
- **2024 წელს ჩატარდება „ქალთა ფორუმი...“ ქალები ცვლიან, უკვე მეორედ და ვფიქრობ ინტერმუნიციპალური ფორუმის ჩატარებას.**
- **აქტიური იქნება ჩემი ფრაქციული და პარტიული მუშაობა.**
- **2024 წლის ბიუჯეტს დაემატება ერთი ახალი პროგრამა გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით ან გაიზრდება ბიუჯეტი, ჩატარებული ფოკუს ჯგუფების კვლევის ან სამიზნე ჯგუფის წევრების გამოკითხვის საფუძველზე.**

მინდა მადლობით დავასრულო ჩემი გამოსვლა:

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგებს, საკრებულოს წევრებს, ჩემს გუნდს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო “, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას - ჩემი ყველა ინიციატივის მხარდაჭერისთვის, მადლობა მინდა ვუთხრა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ დავით შარაშიძეს, რადგან მისი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ზემოთ ჩამოთვლილი ინიციატივის და პროექტის განხორციელება, ასევე მადლობა მერის პირველ მოადგილეს ქალბატონ მაია კუტუბიძეს რომლისგანაც ასევე მხარდაჭერა გვაქვს, განსაკუთრებულად გენდერული თანასწორობის საბჭოს. აქვე მადლობა მინდა ვუთხრა

საფინანსო სამსახურის უფროსს ქალბატონ მაია გოგოლაძეს, რომლისგანაც არასოდეს ტექნიკური ან რამე სხვა სახის პრობლემა არ შექმნია ჩვენს მიერ განხორციელებულ პროექტებს. მადლობა მინდა ვუთხრა საკრებულოს აპარატის სრულ შემადგენლობას ბატონი მერაბ ხუნდაძის ხელმძღვანელობით. მადლობა გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი ვასილ ჩიგოგიძის ჩოხატაურის ბიუროს ხელმძღვანელს ქალბატონ სოფო ჯინჭარაძეს თანამშრომლობისთვის და მხარდაჭერისთვის. ერთმანეთის გარეშე წარმატებები ვერ იქნება. მეიმედება თითოეული თქვენგანი.

მადლობა ყურადღებისთვის!

აზრი გამოთქვა: ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონკურსში გამარჯვებულმა, რუსუდან კობიძემ და აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც ახალგაზრდა ქალისთვის, მნიშვნელოვანია ქალთა გაძლიერების მიმართულებით მრავალფეროვანი პროგრამების არსებობა და ზოგადად, საკრებულოს წევრის მხრიდან მისი მხარდაჭერა. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს მხარდაჭერისთვის.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი კუჭავა** კითხვით მიმართა მარინე ბერაძეს: რადგანაც თქვენ წარმოადგენთ გენდერული თანასწორობის საბჭოს ბალანსის დაცვის კუთხით თუ გაქვთ რაიმე ინიციატივა მამაკაცთა მხარდაჭერის კუთხით?

**მარინე ბერაძე:** სწორი შენიშვნაა, 2023 წელს უშუალოდ ჩემი და საბჭოს ინიციატივით დაინერგა მარტოხელა მშობლების ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელიც გათვალისწინებულია როგორცმარტოხელა დედებისთვის ასევე მარტოხელა მამებისთვის.

**ირაკლი კუჭავა:** როგორ ფიქრობთ რამდენად მნიშვნელოვანია კაცთა ეკონომიკური გაძლიერება, რამდენადაც ეს ეხება საბჭოს მუშაობას?

**მარინე ბერაძე:** შესაძლებელია ერთი შეხედვით ჩანს , რომ საბჭო ძირითადად მუშაობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, მაგრამ ამას აქვს ობიექტური მიზეზები, კერძოდ როგორც სტატისტიკურად არის დამტკიცებული საქართველოში ქალებს არ აქვთ საკმარისი ხელმისწვდომობა სახელმწიფო პროგრამებზე, რის მიზეზსაც წარმოადგენს პრობლემა, რომ ქალები არ არიან უმრავი ქონების მესაკუთრეები და არ ფლობენ სხვადასხვა პროექტებისთვის აუცილებელ აქტივებს და პასივებს. ეს მიდგომები ნელ-ნელა იცვლება, ამიტომაც ჩვენ მხარს ვუჭერთ ქალთა ეკონომურ გაძლიერებას.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით,

საკრებულოს წევრის ანგარიში  შეფასდა დადებითად.

სხდომის თავმჯდომარე